ხელშეკრულება# 649/1/02
(სამართლებრივი დახმარების თაობაზე)

ქ.თბილისი 03 02 2013 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ ქალაქ თბილისის #209 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ია აბუაშვილის სახით ერთის მხრივ და შპს - „განათლების ექსპერტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ნაკაშაშვილის სახით მეორეს მხრივ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სამართლებრივი დახმარების გაწევა (CPV: 79100000) და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო წლიური ღირებულება შეადგენს 1200 (ათასორასი) ლარს.
2. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი დახმარების ღირებულება თვეში შეადგენს 100 (ასი) ლარს.
3. მომსახურების გაწევა დასტურდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
4. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ყოველი საანგარიშო თვის 28 რიცხვამდე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 3 იანვრიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. შემსყიდველი ვალდებულია:

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები მიმწოდებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების და ნოვაციების გაცნობა;

2.2. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი ხელშეწყობა;

2.3. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მომზადებული დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

2.4. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა.

2.5. განახორციელოს შემსყიდველთან სამართლებრივი მომსახურების გაწევის მიზნით სკოლაში ვიზიტი.

2.6. სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტების, მათ შორის სატენდერო კომისიის ოქმების პროექტების მომზადებასა და შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ოპერირებას;

2.7 პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი ტექნიკური და საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვისას კონსულტაციის გაწევას;

2.8 გამარჯვებულ პრეტენდენტთან დასადები ხელშეკრულების პროექტის შემუშავებას;

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

2.9 უზრუნველყოს სკოლის სარგებლობაში არსებული ფართის იჯარით გაცემასთან დაკავშირებული სამართლებრივი მომსახურების გაწევა, ელექტრონული აუქციონის გამოცხადებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

3.1. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

3.2. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან სასამართლოში წარმომადგენლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – ქალაქ თბილისის #209 საჯარო სკოლა ს/კ 236087907	შპს - ,,განათლების ექსპერტი“
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“ მცხეთის ფ-ლი ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE17LB0121151971306000	საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თიბისი ბანკი“ მთაწმინდის ფ-ლი ს/კ № 400071596 ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE49TB7232536080100003
დირექტორი **ია აბუაშვილი** (ხელმოწერა)	**დირექტორი** **ვახტანგ ნაკაშაშვილი** (ხელმოწერა)

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქ. თბილისი 01 მარტი 2013 წელი

შეთანხმება №

შპს „განათლების ექსპერტსა“ და სსიპ ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლას შორის 2013 წლის 03 იანვარს სამართლებრივი დახმარების თაობაზე დადებული №649 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ია აბუაშვილის სახით და, მეორეს მხრივ, შპს „განათლების ექსპერტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გაბელიას სახით, ჩვენ შორის სამართლებრივი დახმარების თაობაზე 2013 წლის 3 იანვარს დადებული №649 ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ჩვენს შორის სამართლებრივი დახმარების თაობაზე 2013 წლის 3 იანვარს დადებული №649 ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდეს 2013 წლის 01 მარტიდან.

2. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან, ერთი კი მიმწოდებელთან.

3. შეთანხმება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

შემსყიდველი: სსიპ ქალაქ თბილისის №209 საჯარო სკოლა მის: ქ. თბილისი, სოფელი გლდანი ტელ. 2308304 ს/კ 236087907 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი“ მცხეთის ფილიალი ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE17LB0121151971306000 დირექტორი ია აბუაშვილი ---------- (ხელმოწერა)	**მიმწოდებელი:** შპს - „განათლების ექსპერტი“ საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი“ მთაწმინდის ფ-ლი ს/კ # 400071596 ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE49TB7232536080100003 დირექტორი გიორგი გაბელია ---------- (ხელმოწერა)

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional